ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2423006

ნომერი: AR1369945

თარიღი : 11.01.2016

გაცემის თარიღი : 08.02.2016

გაცნობის თარიღი : 08.02.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დოლიძე , N 136 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბეჟან რატიანი პ/ნ 01017003832
- თბილისი ე.იაროსლავსკის ქ. N 2

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ი.მ.ა "დოლიძის 136"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205300226
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ბეჟან რატიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017003832

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: №2303519
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 18.11.2015

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №188954
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 31.05.2012

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

№AR1369945 ელექტრონული განაცხადის განუხილველად დატოვების თაობაზე:

თქვენს მიერ განმეორებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ რომ თქვენი მხრიდან კვლავ არ არის სრულად გამოსწორებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.01.2016წ. №2394100 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზი, კერძოდ: ველში –> წარმომადგენელის არსებობის შემთხვევაში მინდობილობა/რწმუნებულება: ატვირთული დოკუმენტაცია არ არის მისაღები შემდეგ გარემოებათა გამო: ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) შესახებ ხელშეკრულების 2.1. პუნქტით განსაზღვრულია ხელშეკრულების მხარეები და ამხანაგობის წევრები, ამავე ხელშეკრულების 4.5. პუნქტის თანახმად, „ამხანაგობის წევრები წინამდებარე ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ხელმოწერით წინასწარვე თანხმდებიან, რომ ამხანაგობა დაფუძნებული წევრთა შემადგენლობაში არ მოხდება ახალი წევრების მიღება (გარდა კანონით გათვალისწინებული მემკვდირეობის ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევისა)“, 11.2. პუნქტის თანახმად, „ამხანაგობის წევრს ნებისმიერ დროს, გარდა 13.2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, შეუძლია გავიდეს ამხანაგობიდან... გასული წევრის კუთვნილი ქონება დაუბრუნდება ამხანაგობას და განაწილდება მხოლოდ ამხანაგობის წევრებზე. ამხანაგობის წევრები უფლებამოსილნი არიან გამსვლელი წევრისაგან თავად შეიძინონ წილი ამ ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად“. ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში მითითებული ამხანაგობის წევრები და წარმოდგენილ კრების ოქმში დაფიქსირებული წევრები არ შეესაბამება ერთმანეთს. შესაბამისად, წარმოადგინეთ ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე–9 მუხლის შესაბამისად შედგენილი ამხანაგობის წევრთა საერთო კრების თანხმობა, კრების ოქმის სახით.

აქედან გამომდინარე სამსახური მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა. წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი და საკითხის შემდგომი განხილვა იწარმოებს სრულყოფილი დოკუმენტაციის ახალი რეგისტრაციით წარმოდგენის შემთხვევაში და შესაბამისი გადაწყვეტილება გეცნობებათ კანონით დადგენილ ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.